ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

IV ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: I. ტექსტის რედაქტირება; II. არგუმენტირებული ესე; III. წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი.

ტესტის ყოველი ნაწილის შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები თან ახლავს შესაბამის დავალებებს.

გაითვალისწინეთ, რომ ტესტის III ნაწილი - წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი - ორი დავალებისაგან შედგება.

უნდა აირჩიოთ **ერთ-ერთი მათგანი** (N1 ან N2) და უნდა შეასრულოთ ამ დავალებაში მოცემული: **ა) წაკითხულის გააზრებაც და ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზიც.**

ტესტის მაქსიმალური ქულაა - 80.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი და 15 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ტექსტის რედაქტირება (20 ქულა)

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. *გაასწორეთ* მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ.

გაითვალისწინეთ, ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

(თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადადებას, ნაშრომი არ შეფასდება.)

კალა თბილისის უძველესი ნაწილია. გალავანით შემოსაზღვრული კალა შუა საუკუნეების ქალაქის მთავარი უბანი იყო. იგი მტკვრის მარჯვენა მხარეს იმყოფება. მემატიანეთა თხზულებებში ეს დასახლება პირველად V საუკუნის მოვლენების აღწერისას იხსენიება. სიტყვა კალას წარმომავლობა აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით ეს სახელწოდება არაბულიდან მომდინარეობს, კერძოდ, სიტყვა „ყალა“ ნიშნავს ციხეს. არსებობს განსხვავებული თვალსაზრისიც რის მიხედვითაც კალა მხოლოდ გავს არაბულ „ყალას“, იგი ქართული წარმოშობისაა და კლდეს ნიშნავს.

პირველი გრაფიკული საბუთი რომელიც ზუსტად გადმოგვცემს ფეოდალური თბილისის ქალაქთ-მშენებლობის სტრუქტურას ვახუშტი ბაგრატიონის გეგმა წარმოადგენს. ვახუშტიმ შეძლო დაწვრილებით აეღწერა თბილისის უბნები რომელთა შორისაცაა კალა. გეგმაზე აღნიშნულია, რომ კალა თბილისისაგან სოლოლაკის წყლით იყო გამოყოფილი. თბილისს კი იმ დროს მხოლოდ აბანოთუბანს უწოდებდნენ. ქალაქი ამ ორი უბნის შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა. გეგმაზე, რომელიც 1800 წელს შეადგინეს კარგად ჩანს ქალაქის მაგისტრალები. ერთ-ერთი მათთაგანი კალას ზემო და ქვემო უბნებად აცალკევებდა. ეს იყო გზა დღევანდელი თავისუფლების მოედნიდან ვერცხლის ქუჩის გადაკვეთამდე.

აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს მტერმა კალას დიდი ნაწილი დაანგრია და გადაწვა. მისი დღევანდელი განაშენიანება XIX საუკუნიდან მომდინარეობს. დღეს ეს უბანი თავისებური კოლორიტით ალამაზებს ჩვენ დედაქალაქს.

II. არგუმენტირებული ესე (20 ქულა)

არსებობს მოსაზრება, რომ მოწინააღმდეგის უპირატესობის აღიარება ადამიანს საკუთარი სუსტი მხარეების აღმოჩენასა და დაძლევაში ეხმარება.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

გააანალიზეთ წარმოდგენილი თვალსაზრისი, შეაფასეთ მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ ტექსტის შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

გაითვალისწინეთ: თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით, ნაშრომი არ გასწორდება.

III. წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი (40 ქულა)

აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ორი დავალებიდან ერთ-ერთი და მხოლოდ ის შეასრულეთ!

1.

„ვეფხისტყაოსანში“ მოთხრობილია თინათინის გამეფების ამბავი:

1. არაბეთს გასცა ბრძანება დიდმან არაბთა მპყრობელმან:
„თინათინ ჩემი ხელმწიფედ დავსვი მე, მისმან მშობელმან;
მან განანათლნეს ყოველნი, ვით მზემან მანათობელმან;
მოდით და ნახეთ ყოველმან შემსხმელმან, შემამკობელმან!“
2. მოვიდეს სრულნი არაბნი, ჯარი გამრავლდა ხასისა:
ავთანდილ პირ-მზე, სპასპეტი ლაშქრისა ბევრ-ათასისა,
ვაზირი სოგრატ, მოახლე მეფისა დასთა დასისა;
მათ რომე დადგეს საჯდომი, თქვეს: „ურქმელია ფასისა!“
3. თინათინ მოჰყავს მამასა პირითა მით ნათელითა,
დასვა და თავსა გვირგვინი დასდგა თავისა ხელითა,
მისცა სკიპტრა და შემოსა მეფეთა სამოსელითა.
ქალი ბრძნად უჭვრეტს ყოველთა ცნობითა ზე-მხედველითა.
4. უკუდგეს და თაყვანის-სცეს მეფემან და მისთა სპათა,
დალოცეს და მეფედ დასვეს, ქება უთხრეს სხვაგნით სხვათა,
ბუკსა ჰკრეს და წინწილანი დაატკბობდეს მათთა ხმათა,
ქალი ტირს და ცრემლსა აფრქვევს, ჰხრის ყორნისა
ბოლო ფრთათა.
5. მამისა ტახტსა საჯდომად თავი არ ეღირსებოდა,
ამად ტირს, ბაღი ვარდისა ცრემლითა აივსებოდა;
მეფე სწვრთის: „მამა ყოველი ძისაგან ითავსებოდა,
ამისად ქმნამდის დამწველი ცეცხლი არ დამევსებოდა“.
6. უბრძანა: „ნუ სტირ, ასულო, ისმინე ჩემგან თხრობილი:
დღეს შენ ხარ მეფე არაბეთს, ჩემგან ხელმწიფედ ხმობილი,
აქათგან ესე სამეფო შენი არს მართ მონდობილი.
ხარმცა ბრძნად მქმნელი საქმისა, იყავ წყნარი და ცნობილი.

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

7. ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა შენცა ნუ მოგეწყინების.
უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების.
უხვად გასცემდი! – ზღვათაცა შესდის და გაედინების.

8. მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს ალვა, რგულია;
უხვსა ჰმორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია;
სმა-ჭამა – დიდად შესარგი, დება რა სავარგულია?
რასაცა გასცემ, შენია, რასც არა, დაკარგულია!“

9. ამა მამისა სწავლასა ქალი ბრძნად მოისმინებდა,
ყურსა უპყრობდა, ისმენდა, წვრთასა არ მოიწყინებდა;
მეფე სმასა და მღერასა იქმს, მეტად მოილხინებდა;
თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრა მზე თინათინებდა.

10. მოიხმო მისი გამზრდელი ერთგული, ნაერთგულევი,
უბრძანა: „ჩემი საჭურჭლე, შენგან დანაბეჭდულევი,
მომართვი ჩემი ყველაი, ჩემი ნაუფლისწულევი“.
მოართვეს, გასცა უზომო, უანგარიშო, ულევი.

11. მას დღე გასცემს ყველაკასა სივაჟისა მოგებულსა,
რომე სრულად ამოაგებს მცირესა და დიდებულსა.
მერმე ბრძანა: „ვიქმ საქმესა, მამისაგან სწავლებულსა,
ჩემსა ნუვინ ნუ დამალავს საჭურჭლესა დადებულსა“.

12. უბრძანა: „წადით, გახსენით, რაცა სად საჭურჭლენია,
ამილახორო, მოასხი რემა-ჯოგი და ცხენია!“
მოიღეს, გასცა უზომო, სიუხვე არ მოსწყენია.
ლარსა ხვეტდიან ლაშქარნი, მართ ვითა მეკობრენია.

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

(1) 3. რა არის პირველი სტროფის მთავარი სათქმელი?

ა) არაბეთის ტახტი თინათინს ეკუთვნის და მას ყველამ თაყვანი უნდა სცეს.

ბ) არაბეთის ტახტი თინათინს ეკუთვნის, რადგან იგი ავთანდილის მიჯნურია.

გ) არაბეთის ტახტი როსტევანს ეკუთვნის და მას ყველამ თაყვანი უნდა სცეს.

დ) არაბეთის ტახტი როსტევანს ეკუთვნის, რადგან იგი მზესავით ანათებს სამყაროს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 4. რა ინფორმაციას ვიღებთ ავთანდილის შესახებ მეორე სტროფიდან?

ა) ჯარის სარდალია.

ბ) პირველი ვეზირია.

გ) თინათინის მიჯნურია.

დ) ტარიელის მეგობარია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) **5. რას ნიშნავს სტრიქონი:** „ქალი ბრძნად უჭვრეტს ყოველთა ცნობითა ზე-მხედველითა“?

ა) თინათინი თავისი ღვთიური გონებით ყოველივეს ბრძნულად აღიქვამს.

ბ) თინათინი მამის დარიგების შესაბამისად ყველაფერს ბრძნულად აღასრულებს.

გ) თინათინი ყოველი გაჭირვებულისათვის უხვად გასცემს საუნჯეს.

დ) თინათინი ყოველი ქვეშევრდომის ბედს ბრძნულად განსჯის.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 6. რომელ სტრიქონში არის გამოყენებული მეტაფორა?

ა) „დასვა და თავსა გვირგვინი დასდგა თავისა ხელითა“.

ბ) „მისცა სკიპტრა და შემოსა მეფეთა სამოსელითა“.

გ) „უკუდგეს და თაყვანი-სცეს მეფემან და მისთა სპათა“.

დ) „ქალი ტირს და ცრემლსა აფრქვევს, ხრის ყორნისა ბოლო ფრთათა“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) **7. რატომ ტიროდა თინათინი?**

ა) განიცდიდა იმას, რომ როსტევანი ძლიერ მოხუცდა.

ბ) განიცდიდა, რომ როსტევანს მემკვიდრე ვაჟი არ ჰყავდა.

გ) თავი სამეფო ტახტზე ასვლის ღირსად არ მიაჩნდა.

დ) იცოდა, რომ მიჯნურს ხშირად უკვე ვეღარ ნახავდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) **8. რომელ სტრიქონში ჩანს როსტევანის შეხედულება – რა თვისებები უნდა ჰქონდეს მეფეს?**

ა) უბრძანა: „ნუ სტირ, ასულო, ისმინე ჩემგან თხრობილი“.

ბ) „დღეს შენ ხარ მეფე არაბეთს, ჩემგან ხელმწიფედ ხმობილი“.

გ) „აქათგან ესე სამეფო შენი არს მართ მონდობილი“.

დ) „ხარმცა ბრძნად მქმნელი საქმისა, იყავ წყნარი და ცნობილი“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 9. როსტევანის აზრით, რატომ უნდა იყოს თინათინი „დიდთა და წვრილთა“ მწყალობელი?

ა) იმიტომ, რომ მეფე მოვალეა ყველა საქმის შესრულებისას ღმერთს შემწეობა სთხოვოს.

ბ) იმიტომ, რომ მეფის მზრუნველობა ღვთის წყალობასავით ყველას თანაბრად უნდა ეფინებოდეს.

გ) იმიტომ, რომ მეფის სიკეთე ზღვასავით ამოუწურავი უნდა იყოს მხოლოდ ერთგულთათვის.

დ) იმიტომ, რომ მეფის წყალობა მუდამ მზესავით უნდა უნათებდეს გზას გაჭირვებულებს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 10. რას ნიშნავს ფრაზა: „უხვი ახსნილსა დააბამს...“?

ა) მეფის პატივისცემა მორჩილებით გამოიხატება.

ბ) სიუხვე ღვთისგან ბოძებული სიკეთეა.

გ) სიუხვე ყველა მეფეს ახასიათებს.

დ) სიუხვით ურჩის გადმობირებაც შესაძლებელია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 11. რა აზრს გამოხატავს სტრიქონი: „სმა-ჭამა – დიდად შესარგი, დება რა სავარგულია“?

ა) სიმდიდრე კი არ უნდა შეინახო, არამედ უნდა მოიხმარო.

ბ) სიმდიდრე არ უნდა შეინახო, რადგან ბევრი გაჭირვებული შიმშილობს.

გ) სმა-ჭამა მაშინ არის სასარგებლო, როდესაც იცი, რომ შეგერგება.

დ) სმა-ჭამა სასარგებლოა, ხოლო ქონების შენახვა – ძალზე სახიფათო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 12. რა აზრს გამოხატავს სტრიქონი: „რასაცა გასცემ, შენია, რასც არა, დაკარგულია“?

ა) გაცემული სიკეთე უკანვე დაგიბრუნდება.

ბ) გაცემული სიკეთე უკვალოდ დაიკარგება.

გ) ხელგაშლილობა სიკეთეს არასდროს მოგიტანს.

დ) ხელგაშლილობის შედეგად ქონებას დაკარგავ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 13. რომელ სტრიქონში იყენებს ავტორი მეტაფორას?

ა) „ამა მამისა სწავლასა ქალი ბრძნად მოისმინებდა“.

ბ) „ყურსა უპყრობდა, ისმენდა, წვრთასა არ მოიწყინებდა“.

გ) „მეფე სმასა და მღერასა იქმს, მეტად მოილხინებდა“.

დ) „თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრა მზე თინათინებდა“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) **14. რა მოსთხოვა თინათინმა გამზრდელს?**

ა) სამეფოს მთელი ქონება ობლებისათვის დაერიგებინა.

ბ) როსტევან მეფის ბრძანება დაუყოვნებლივ შეესრულებინა.

გ) სახელმწიფოს განძი ყველასათვის თანაბრად გაენაწილებინა.

დ) უფლისწულობის დროს დაგროვილი ქონება მიერთმია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 15. რას ნიშნავს სიტყვები: „სრულად ამოაგებს მცირესა და დიდებულსა“?

ა) გაამდიდრებს მდაბიოსაც და წარჩინებულსაც.

ბ) გაამდიდრებს უსახლკაროსაც და ობოლსაც.

გ) გაამდიდრებს უცხოსაც და შინაურსაც.

დ) გაამდიდრებს ყმაწვილსაც და ჭარმაგსაც.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 16. ტროპული მეტყველების რომელ სახეს იყენებს ავტორი სტრიქონში: „ლარსა ხვეტდიან ლაშქარნი, მართ ვითა მეკობრენია“?

ა) ეპითეტს.

ბ) გაპიროვნებას.

გ) მეტაფორას.

დ) შედარებას.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 17. თინათინის რა თვისება ჩანს მოცემულ ტექსტში?

ა) სიმამაცე.

ბ) სისუსტე.

გ) სიუხვე.

დ) სიძუნწე.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზი (25 ქულა)

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ნაწერი არ გასწორდება, თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, როგორ ხატავს ავტორი როსტევანის სახეს (ყურადღება მიაქციეთ, როგორ არიგებს იგი ქალიშვილს).
- იმსჯელეთ თინათინის მხატვრული სახის შესახებ.
- იმსჯელეთ ტექსტის მხატვრული თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

2.

ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტები რევაზ ინანიშვილის მოთხრობიდან „ლამაზი ცრემლები“:

ერთ ღამეს, პირველის ნახევარზე, თინას მამა დაადგათ თავს, – ადექით, შვილებო, შეშა ჩამოვიტანე და მაჩვენეთ, სად ჩამოვცალოო... შეშა სარდაფში ჩაზიდეს და კედლის ძირას ააკოკოლეს, თინა მშვენივრად მიეხმარა.

გიას ხერხი შინ ჰქონდა, წაიღო ის ხერხი, დეზერტირების ბაზართან გაალესინა, ჯოჯგინებიც გააკეთა შეშის დასადებად. შვიდ საათზე დგებოდა, სარდაფში ჩადიოდა, ხერხავდა, აპობდა, თვითონვე ამოჰქონდა, ღუმელსაც თვითონ ახურებდა, მერე მკლავებს უჩვენებდა თინას, – ნახე, როგორ დამებერა კუნთებიო. თინას სასიამოვნოდ ეღიმებოდა. რამდენჯერმე კარგი ხორციც იშოვეს, ამხანაგები დაჰპატიჟეს, მწვადი შეწვეს. ყველანი ნაღვლიანი აღტაცებით აქებდნენ შეშას და მის ცეცხლს. – არა, ძმაო, სულ სხვაა ნამდვილ ნაკვერჩხლებზე შემწვარი მწვადიო! ლოცავდნენ ხეების აღმომცენებელ მიწას, ფოთლების გამხარებელ ცას. პატარა თამუნიაც კი სულ „მწვადს“ გაიძახოდა. მაგრამ ერთ საღამოს გია შეფიქრიანებული დაბრუნდა სამსახურიდან. თინამ ვერ გაუბედა ეკითხა, რა მოხდაო, თვითონვე თქვა, – ხვალ მივლინებაში მგზავნიან მთელი ოცი დღით და არ ვიცი, როგორ წახვალთ იოლას უჩემოდო. ერთი პირობა თინაც შეფიქრიანდა, მერე სველი ხელები უკან გასწია, აკოცა გიას, – შენ ჩვენი დარდი ნუ გექნება, მე მაგარი გოგო ვარო. გიას ცოტა გულს მოეშვა, მიდგა-მოდგა, რაღაცებს დაუწყო ძებნა...

დილით, ძალიან ადრე, რძის რიგი რომ დაიკავა, ბაზართან აირბინა. მხერხავები იქ იყვნენ, ზოგი იდგა, ზოგიც ბაღის ყორეებზე ჩამომჯდარიყო. აიარა, ჩამოიარა. ერთი პატარა მიმყუდროებული ბერიკაცი ამოირჩია, თან მოეწონა, თან ეს იფიქრა, – იქნებ როგორ უჭირს, მაგას ხომ სხვა არ წაიყვანსო! – წამობრძანდებით პაპაო, ბერიკაცს ფარაჯის სახელოებიდან ხელები არ გამოუყვია, – ხერხი მარცხენა მკლავზე ეკიდა, – ისევე გაჰყვა. წავკისელი იყო, შვილები და შვილიშვილები ზოგი საით გაჰფანტოდა, ზოგი საით...

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

პირდაპირ სარდაფში არ ჩაუყვანია, ჯერ მაღლა ავიდნენ. – ნახე, როგორი პაპა მოვიყვანე, თინაო. თინა გამოვიდა, იმასაც მოეწონა, – ისეთი პაპაა, მოფერება მოგინდებაო. და მოეფერა კიდეც, – ღუმელთან მობრძანდით, პაპილო, გათბითო. – არა, შვილო, არა მცივაო. თინა მაინც არ მოეშვა. მაშინ ბერიკაცმა ხერხი კარს უკან მიაყუდა, ფეხებზე ყურებით მივიდა ღუმელთან, ხელები ჯერ შორიდან მიუშვირა, მერე ზედ დააწყო. მოვიდა თამუნიაც, დაინტერესებულმა შემოუარა ირგვლივ. ბერიკაცმა გაუღიმა, – რაო, პატარა ქალოო! თამუნია მიბრუნდა და დედასთან გაიქცა...

არ უვაჭრიათ. შეშის დახერხვის მაზანდა ერთმაც იცოდა, მეორემაც. – თხუთმეტი მანეთი უნდა მოგართვათო, – თქვა გიამ. მოხუცმა ფარაჯა გაიხადა. შიგნით უფრო ახლობლური რამ ეცვა, – შავი ბამბაზიის ხალათი, ქამარშემოჭერილი, ჯიბისპირებაღუნული, წვრილი ღილებით ძირამდე შეკრული. აიღო შეშა, დადო ჯოჯგინებზე; რბილად გადაუსვა ხერხი. წადი, შვილო, შენ ნუღარ მოსცდები. მე დავხერხავ და დავალაგებ წყობისადო. გია გახარებული ამოვიდა მაღლა...

ოთხის ნახევრისთვის გიამ მოირბინა, – მე მივდივარ და აბა, თქვენი იმედი მაქვს, პაპაო. – წადი, შვილო, წადი, კეთილად გატაროსო. გიამ ზეზეულად წაიხემსა, შეშის დასახერხი ფული დატოვა, ცოლ-შვილი დაკოცნა და წავიდა.

ბერიკაცმა საღამომდე ხერხა, საღამოს ამოვიდა, – ცოტაღა დამრჩა, შვილო, მაგას ხვალ დავხერხავო. თინამ სუფრის გაშლა დაიწყო. – არა, შვილო, მაგის დრო არ არის, შინ უნდა წავიდეო. მაშინ თინამ ფული გამოუტანა, ბერიკაცი ცოტა შეყოყმანდა, თინამ ხელში ჩაუდო, – წაიღეთო, წაიღეთო! ბერიკაცმა მადლობა გადაუხადა, – დილამდე, შვილო, დილაზე ჩამოვალ და ყველაფერს მოვრჩებიო, წავიდა.

წავიდა და წავიდა. არც მეორე დილას ჩამოსულა, არც იმის მომდევნო დილას ჩამოსულა, არც იმის მომდევნო კვირას.

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

დაბრუნდა გია მივლინებიდან. გაიგო ეს ამბავი, – აი, ასე ქნა იმ შენმა მოლაღურივით ბერიკაცმაო. დაჯდა გამტკნარებული. როგორღაც გაუგებრად იღიმებოდა. მერე თქვა, – მაინც რამდენი იქნება დახერხილიო. – ნახევარზე ცოტა მეტიო, – მიუგო თინამ. – მაშ, იცი რა, ჩემო მაგარო გოგოვ, მოდი, შვიდი მანეთის გულისთვის ნუ გავიმეტებთ კაცს, იქნებ რა მოუხდა, იქნებ რა შეემთხვაო! – კარგიო! – გაეღიმა თინასაც.

გავიდა კიდევ ერთი კვირა, კვირაზე მეტიც.

ერთ დღეს ერთი დაბალი, ხერხიანი ბიჭი მოვიდა ეზოში, ახალგაზრდა ცოლ-ქმარს კითხულობდა, პატარა გოგო რომ ჰყავთ, შეშა რომ ჰქონდათ სარდაფშიო. მეზობლები მაშინვე მიხვდნენ, ვინც უნდოდა, წაუძღვნენ, მოიყვანეს, ზარიც დაურეკეს. თინამ გამოიხედა. ბიჭი მორცხვად ალაპარაკდა, – პაპაჩემს თქვენი შეშა დარჩა დასახერხი, მე მოვედი, მე უნდა დავხერხოო. თუ დახერხილი გაქვთ, რაც გეკუთვნით, ფული უკან უნდა აიღოთო. თინას სახე შეუფიქრიანდა, – პაპა? პაპას რა დაემართაო? – პაპა მოკვდა, ხუთი დღეა, რაც დავმარხეთო. თინამ კარს ლოყა მიადო და ასე გაშტერებული დარჩა. გამოიხედა გიამ, იმანაც გაიგო, რა ამბავიც იყო, აჰო, არაო, როგორ გეკადრებათო! მაგრამ ბიჭმა არ დათმო, – ანდერძად ეგ დამიტოვა და უნდა შევუსრულოო. მეტი რაღა გზა იყო. ჩაუძღვა სარდაფში. ბიჭმა გაჩქარებული ხერხვა დაიწყო.

გია მაღლა ამობრუნდა. თინა შუა ოთახში დახვდა. გიამ ხელები კეფაზე შემოიწყო, – აი, ხომ ხედავ, რა კარგია, კარგები რომ ვართო! თინამ გაუღიმა. თვალებში ლამაზი ცრემლები ედგა.

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

(1) 3. მამის როგორი დამოკიდებულება ჩანს ქალიშვილის ოჯახის მიმართ?

ა) მზრუნველობა და თანადგომა.

ბ) გულგრილობა და უპატივცემულობა.

გ) მოკრძალება და დაფასება.

დ) გულცივობა და უყურადღებობა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) **4. გიას რა თვისებები ვლინდება მეორე აბზაცში?**

ა) შრომისმოყვარეობა და მზრუნველობა ოჯახის წევრების მიმართ.

ბ) უნიათობა და გულგრილობა ოჯახური პრობლემების მიმართ.

გ) მეგობრების თანადგომა და მათი ინტერესების გათვალისწინება.

დ) უპასუხისმგებლო და ზერელე დამოკიდებულება სამსახურის მიმართ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) **5. რატომ აქებენ გიას მეგობრები** „ნაღვლიანი აღტაცებით... შეშას და მის ცეცხლს“?

ა) ჩანს, განებივრებულნი არ არიან ნაკვერჩხალზე შემწვარი მწვადით.

ბ) ამით მხოლოდ ის სურთ, გულუხვ მასპინძელს სიამოვნება მიანიჭონ.

გ) სურთ, პატარა თამუნიას მწვადი კიდევ უფრო მოაწონონ.

დ) შეშით გამთბარ ღუმელთან წარსულ დღეებზე საუბარი სასიამოვნოა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 6. რის თქმა სურს თინას გიასათვის სიტყვებით: „მე მაგარი გოგო ვარ“?

ა) შეშას მე თვითონაც კარგად დავხერხავ.

ბ) შენი წასვლა სულ არ მაინტერესებს.

გ) შენს მეგობრებს უშენოდაც ვუმასპინძლებ.

დ) ოჯახს უშენოდ არაფერს გავუჭირვებ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 7. რას ნიშნავს სიტყვა „ახლობლური“ ფრაზაში: „შიგნით უფრო ახლობლური რამ ეცვა...“?

ა) სხვის ტანსაცმელს.

ბ) საგარეო ტანსაცმელს.

გ) საშინაო ტანსაცმელს.

დ) სუფთა ტანსაცმელს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) **8. პაპის რა თვისება ჩანს მის სიტყვებში:** „...შენ ნუღარ მოსცდები. მე დავხერხავ და დავალაგებ წყობისადო“?

ა) სიბრძნე.

ბ) უწესრიგობა.

გ) სულსწრაფობა.

დ) კეთილსინდისიერება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 9. რატომ შეყოყმანდა პაპა, როცა თინამ ფული „ხელში ჩაუდო“?

ა) სამუშაო უხარისხოდ ჰქონდა შესრულებული.

ბ) სამუშაო დამთავრებული არ ჰქონდა.

გ) ფიქრობდა, საერთოდ უარი ეთქვა გასამრჯელოზე.

დ) ფიქრობდა, ფული პატარა თამუნიასთვის ეჩუქებინა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 10. რა მხატვრული საშუალებაა გამოყენებული ფრაზაში: „ასე ქნა იმ შენმა მოლაღურივით ბერიკაცმაო“?

ა) ჰიპერბოლა.

ბ) გაპიროვნება.

გ) ალუზია.

დ) შედარება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 11. გიას რა განწყობილება ჩანს მონაკვეთში: „დაჯდა გამტკნარებული. როგორღაც გაუგებრად იღიმებოდა“?

ა) იმედგაცრუება და დაბნეულობა.

ბ) სასოწარკვეთილება და ხიფათის მოლოდინი.

გ) სიხარული და იმედიანობა.

დ) აღტაცება და გულის გაუტეხლობა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 12. გიას რა თვისება ჩანს მონაკვეთში: „მოდი, შვიდი მანეთის გულისთვის ნუ გავიმეტებთ კაცს“?

ა) სულგრძელობა.

ბ) სულმოკლეობა.

გ) ეჭვიანობა.

დ) მახვილგონიერება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 13. რა არის მიზეზი იმისა, რომ შვილიშვილი დარჩენილი სამუშაოს შესასრულებლად მოვიდა?

ა) მას ოჯახის წევრებმა კატეგორიულად მოსთხოვეს დარჩენილი სამუშაოს შესრულება.

ბ) იგი იძულებულია, საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ აასრულოს პაპის ანდერძი.

გ) მას ფული სჭირდება და ამიტომ გადაწყვიტა დარჩენილი შეშის დახერხვა.

დ) იგი კეთილსინდისიერი და პაპის ხსოვნის პატივისმცემელი ყმაწვილია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 14. რა მხატვრული საშუალებაა – „ლამაზი ცრემლები“?

ა) ჰიპერბოლა.

ბ) გაპიროვნება.

გ) შედარება.

დ) ეპითეტი.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 15. რატომ განიცადა თინამ ასე ძლიერ შვილიშვილის ნათქვამი?

ა) გული აუჩუყა მოხუცის პატიოსნებამ და პასუხისმგებლობის გრძნობამ.

ბ) ძალიან ეწყინა, შვილიშვილმა ფულის დაბრუნება რომ დააპირა.

გ) შეეშინდა, ზამთრისათვის შეშა დაუხერხავი არ დარჩენოდათ.

დ) გაუკვირდა პაპის ანდერძისადმი ყმაწვილის ასეთი ერთგულება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 16. რის შესახებ არ არის საუბარი ამ ტექსტში?

ა) მორალური პრინციპების ერთგულების.

ბ) ოჯახის მიმართ განსაკუთრებული პასუხისმგებლობის.

გ) საყვარელი ადამიანების ურთიერთთანადგომის.

დ) ოჯახის წევრებისადმი უდიერი დამოკიდებულების.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 17. რომელი ფრაზით გამოიხატება შვილიშვილის ქცევის მოტივაცია?

ა) „პაპა მოკვდა, ხუთი დღეა, რაც დავმარხეთო“.

ბ) „რაც გეკუთვნით, ფული უკან უნდა აიღოთო“.

გ) „ანდერძად ეგ დამიტოვა და უნდა შევუსრულოო“.

დ) „მე მოვედი, მე უნდა დავხერხოო“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზი (25 ქულა)

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ნაწერი არ გასწორდება, თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, როგორ ხატავს ავტორი პაპის სახეს (ყურადღება მიაქციეთ შვილიშვილისათვის დატოვებულ ანდერძს).
- იმსჯელეთ ოჯახურ ურთიერთობათა შესახებ ამ ტექსტის მიხედვით.
- იმსჯელეთ ტექსტის მხატვრული თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე